

აქციის დანართი N---

თბილისი და რეგიონები

-/--/----- წ

აბონენტი \_\_\_\_\_

ადასტურებს, რომ ეთანხმება ქვემოთმოცემულ „აქციის“ პირობებს:

აქციის დასახელება – "თემატური პაკეტების აქცია"

აქციის პირობები:

1. "თემატური პაკეტების აქციის" (შემდგომში "აქცია") ფარგლებში, "სილქნეტის" ციფრული სატელევიზიო მომსახურების (სატელევიზიო სინგალის მიმღები ანტენით) მიმღები აბონენტები, რომლებიც სარგებლობენ "სტარტი", "მედიუმი", "პრემიუმი", "საოჯახო" და "რეგიონი" პაკეტებით, სააბონენტო გადასახდელის უცვლელად ისარგებლებენ თემატური პაკეტებით "სილქი" და "ექსტრა".
2. აქციის მოქმედების ვადა - 2018 წლის 29 ოქტომბრიდან - 2021 წლის 30 ივნისის ჩათვლით.
3. აქციით სარგებლობას შეძლებენ:
  - 3.1. აბონენტები, რომლებიც სარგებლობენ ძირითადი TV პაკეტებით "სტარტი", "მედიუმი", "პრემიუმი", "საოჯახო" და "რეგიონი";
  - 3.2. აბონენტები, რომლებიც სარგებლობენ 3.1. პუნქტში მითითებული პაკეტებით და გადაუხდელობის გამო შეზღუდული აქვთ მომსახურება (2018 წლის 1 იანვრიდან აქციის ძალაში შესვლის თარიღამდე გათიშული აბონენტები), მე-7 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში.
4. აქციის პირობები ვრცელდება შემდეგ ძირითადი TV პაკეტებზე: "სტარტი" "მედიუმი", "პრემიუმი", "საოჯახო", "რეგიონი".
5. მე-4 პუნქტით განსაზღვრული ძირითადი TV პაკეტების აბონენტებს, რომლებიც არ სარგებლობენ თემატური პაკეტ(ებ)ით "სილქი" ან/და "ექსტრა", აქციის ძალაში შესვლის თარიღიდან სააბონენტო გადასახდელის უცვლელად ავტომატურად გაუაქტიურდებათ თემატური პაკეტ(ებ)ი "ექსტრა" ან/და "სილქი".
6. მე-4 პუნქტით განსაზღვრული ძირითადი TV პაკეტების აბონენტებს, რომლებიც სტანდარტული პირობებით სარგებლობენ თემატური პაკეტ(ებ)ით "სილქი" ან/და "ექსტრა", აქციის პირობები გაუაქტიურდებათ აქციის პირობებით სარგებლობაზე (აქციის მოქმედების პერიოდში) სურვილის დაფიქსირების შემთხვევაში.
7. მე-4 პუნქტით განსაზღვრული ძირითადი TV პაკეტების აბონენტები, რომლებსაც გადაუხდელობის გამო შეზღუდული აქვთ მომსახურება, სააბონენტო გადასახდელის აქციის მოქმედების ვადის დასრულებამდე გადახდის შემთხვევაში ისარგებლებენ მე-5 და მე-6 პუნქტებით განსაზღვრული პირობებით.
8. აქციის მოქმედების პერიოდში დასაშვებია ძირითადი TV პაკეტების ცვლილება. ძირითადი TV პაკეტის ცვლილებისას, ავტომატურად გაგრძელდება თემატურ პაკეტ(ებ)ზე მოქმედი აქციის პირობები.
9. აქციის მოქმედების ვადის ამოწურვისას აბონენტებს გაუაქტიურდებათ ავტომატურად გააქტიურებული თემატური პაკეტ(ებ)ი.
10. აქციის მოქმედების პერიოდში არ იზღუდება მომსახურების დროებით შეჩერების შესაძლებლობა. დროებით შეჩერების შემთხვევაში აქციის მოქმედების პერიოდის ათვლა არ წყდება და არ ექვემდებარება ცვლილებას.
11. აქციის მოქმედების პერიოდში აბონენტს არ აქვს უფლება უარი განაცხადონ აქციის პირობით სარგებლობაზე.
12. აქციაში ჩართულ აბონენტს, მომსახურებ(ებ)ის მიწოდების მისამართის ცვლილებისას, ახალ მისამართზე არ გადაყვება მისამართის ცვლილებამდე არსებულ მისამართზე გააქტიურებული აქცია.
13. იმ შემთხვევაში, თუ მისამართის ცვლილებაზე რეგისტრაციისას, აქციის მოქმედების ვადა არ არის დასრულებული, ახალ მისამართზე მომსახურების გააქტიურებისას, თუ აქციის ვადა არ არის დასრულებული, გააქტიურდება აქციის ფარგლებში მოქმედი თემატური პაკეტები, რომლებიც იმოქმედებს აქციის მოქმედების ვადის ამოწურვამდე.

მხარეთა ხელმოწერები:

სს „სილქნეტის“ წარმომადგენელი \_\_\_\_\_

აბონენტი \_\_\_\_\_